პროექტი

საქართველოს კანონი
## „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი 1984 წლის № 12 მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $118^1$, $118^2$ და $118^3$ მუხლები:
„მუხლი $118^1$ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა
მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მისგან მარჯვენა (მარცხენა) მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა –
გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 20 ლარით.
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს.

მუხლი $118^2$ სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მართვის დროს მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა
მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა –
გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარით.
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის $ა^1$) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში.

მუხლი $118^3$ მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლისა და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა
მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლისა და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა –
გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 10 ლარით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი